დალი კორძაია, თორნიკე ფურცელაძე

არადის აურელ ვლაიკუს უნივერსიტეტი, რუმინეთი

,,27-31 მაისს, Erasmus+ საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, ვიმყოფებოდით არადის აურელ ვლაიკუს უნივერსიტეტში. მობილობის ფარგლებში შესაძლებლობა გვქონდა შევხვედროდით 7 ქვეყნის უნივერსიტეტის წარმომადგენელს აზიიდან და ევროპიდან და გაგვეზიარებინა გამოცდილება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

მობილობის ფარგლებში მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა ინტერაქციულ სესიებსა და ვორკშოპებში. ასევე, შესაძლებლობა გვქონდა გაგვეცნო კავკასიის უნივერსიტეტი დაინტერესებული მხარეებისთვის, გვესაუბრა არსებულ პროგრამებსა და პროექტებზე და გვემსჯელა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

სამუშაო შეხვედრების პარალელურად უნივერსიტეტის ორგანიზებით დაიგეგმა გასვლითი ტური, რომლის ფარგლებშიც შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით რუმინეთის ისტორიასა და კულტურას.''